სახალხო გაზეთი

№ 160 ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 6

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

14 ამ თვეს, დილით უეცრივ გარდაიცვალა

ანნა დავითის ასული აივაზიშვილისა,

რისაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მისი **მღვდელი იორამე აივაზიშვილი** შვილებითურთ, დედა მისი **სოფიო**, და ძმა—**მღვდელი ივანე ნახუცრიშვილნი**. გამოსვენება ბინიდან დღეს, დილის 10 საათზე, ახპატის შესახვევი, ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ახლო, დასაფლავებაც იმავე ეკლესიის გალავანში. (1—220—1)

ნინო ჩხეიძის გასტროლი

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 23.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, 1910 წელს,

ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

„ივანობის ღამე"

დრამა 4 მოქმედებად გ. ზუდერმანისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ლეჟავა ო., მღთამე, ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ჯავახიშვილი ბ-ნნი: ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მგალობლიშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „ღალატი", „მეუფება წყვდიადისა", „ყაჩაღები".

ქ. ბათომში

სოლპანის ამხ. და მ. გაჩეჩილაძის გამოცემული **კალენდრების** აგენტი—გიორგი მახარაძე. მის მეტს ბათომში, როგორც კედლის კალენდარი აგრეთვე ჯიბისა არავის ექნება გასასყიდი. მსურველს ვთხოვთ მიმართონ ბათომში **გიორგი მახარაძეს**. (3—219—2)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

● დიდ ძალი ●

◀ ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

ქალების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—39)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ჭიჭინაძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

ჩანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოზილევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსილიუმი, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ, საფასურით. (200—6.—327

„სახალხო გაზეთის" დღევანდელ ნომერში 13 გვერდია (ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის განცხადებანი). ცალკე ნომრების მყიდველებმა უნდა მოსთხოვონ გაზეთის გამყიდველებს ყველა ფურცლები.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოკზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (შო.—6.—490

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—13)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთ სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი კაპაშვილისა (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—23)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინსკის ქუჩა N 7. (თ.—180—32)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—265)

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—81)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—23,

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—84)

ტფილისი, 17 ნოემბერი

გარიყულთა ინტერნაციონალიზმი. უკანასკნელ წლების განმავლობაში საქართველო ღრმა სოციალურ ევოლუციას განიცდის. დიდრონ მამულის პატრონები ერთი ერთმანეთზე ჰყიდიან თავის მამა-პაპეულ ლატიფუნდიებს და სამუდამოდ ეთხოვებიან სოფელს. მომეტებულ ნაწილად მათს მამულებს ქართველ გლეხობის შეძლებული ელემენტები ყიდულობენ და თითო წინანდელ მებატონის ადგილს ათობით და ასობით წინანდელი ყმები, ან ნახევრად ყმები, იჭერენ. თვით გლეხობაში შეძლებულნი და შეუძლებელნი იყრებიან ურთიერთისაგან და, მომავალი კლასსური მოწინააღმდეგენი, ამ თავითვე ალმაცერად უცქერიან ერთმანეთს. უმამულოდ რჩება ერთის მხრივ მიწის გამყიდავი და მეორეს მხრივ—გლეხობის უღარიბესი ნაწილი. პირველი ქალაქებისკენ მიეშურება, სადაც ის თავის სოციალურ მდგომარეობით შეძლებულ მოქალაქეთა წრეებს უერთდება, მეორე კი,—ან სოფლის პროლეტარად ხდება, ან—სოფლელ წვრილ იჯარადრად და ან ხელოსნად და წვრილმან მოვაჭრედ. ამგვარად, მიწის მობილიზაციის ნიადაგზე იცვლება ქართველ ერის სოციალური სტრუქტურა. ამ ცვლილებასთან ერთად-ერთის მხრივ აუცილებელ საჭიროებად ხდება ძირითადი ცვლილება სამეურნეო ტეხნიკისა და ორგანიზაციისა, ხოლო მეორეს მხრივ—სოციალურ პსიხიკის ახალის შინაარსით ამოვსება.

ასეთია მოკლედ სქემა იმ ევოლუციისა, რომელსაც, ამ ბოლო დროს, ჩვენი ქვეყანა განიცდის. სრული დაფასება ამ ევოლუციისა რთული საქმეა და მომავალს ეკუთვნის. დღევანდელ მოკლე, საგაზეთო, წერილში ჩვენ არც აღნიშნულ ფაქტის დაფასებას ვაპირებთ, არც იმის საერთო მნიშვნელობის განხილვას ერის ცხოვრებისთვის. ჩვენ დღეს მხოლოდ იმ მხრივ გვინდა გავითვალისწინოთ ეს ევოლუციონური პროცესსი, რა მხრივაც მას ქართველ ინტელიგენციის ცხოვრებაში ახალი კილო და ელფერი შეაქვს.

როგორც ვიცით, ქართველ ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი ქართველი თავადები და აზნაურები არიან. გარდა ამ თავად-აზნაურულ ინტელიგენციისა, არსებობს კიდევ ახალგაზდა დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელსაც შეადგენენ მღვდლების, წვრილ ვაჭრების და დაბალ მოხელეების შვილები. აქ ამ დემოკრატიულ ინტელიგენციაზე არა ვლაპარაკობთ, მხედველობაში მხოლოდ ქართული თავად-აზნაურული ინტელიგენცია გვყავს. უკანასკნელ დრომდე ამ ინტელიგენციას სოფელთან და მამულთან ეკონომიური კავშირი გაწყვეტილი არა ჰქონია. თუმცა იშვიათი მოვლენა იყო, რომ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წარმომადგენელს სოფლად ეცხოვრა და თავის მამულში მეურნეობა ეწარმოებინა, მაგრამ იგი მაინც ამ მამულის შემოსავლით იკვებებოდა. ეს იყო არა პირადი, არამედ ეკონომიური კავშირი სოფელთან და აქედან წარმოსდგებოდა ამ ინტელიგენციის ნიშნობლივი თვისება: პირადი დაშორება ხალხისაგან და მემამულეთა ინტერესების დაცვა მთავრობის წინაშე. ხალხისაგან მოშორებულ, თავად-აზნაურულ ინტელიგენციას ერთად ერთი საზრუნავი ჰქონდა: შეენარჩუნებინა მთავრობის ნდობა და იმის დახმარებით უზრუნველ ეყო თავისი ეკონომიური უპირატესობა. ამ ნიადაგზე ბრწყინვალე წოდების ინტელიგენციამ შეიმუშავა განსაკუთრებითი სტილი—საჭიროების დროს თავისი ერთგულების წინ წამოსაყენებლად, განსაკუთრებითი ლოღიკა თავის შუამდგომლობათა დასასაბუთებლად და განსაკუთრებითი პრინციპი საიმპერიო და ადგილობრივ პატრიოტიზმის შეერთებისა. სხვაფრივ უღარდელი და უზრუნველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია თავის დღეებს ან ქეიფსა და შვება-ლხენაში ატარებდა და ან—სახელმწიფო სამსახურში, რომელსაც იგი, როგორც ბუზი თაფლს, ეტანებოდა. მოქეიფე ინტელიგენციამ თავისი ქონება გაფლანგა და გალატაკდა; სახელმწიფო სამსახურის ხალხმა კი წინანდელზე უფრო მეტად დააფასა ჯამაგირით უზრუნველყოფილი მდგომარეობა. თან-და-თან სახელმწიფო სამსახური თავად-აზნაურულ ინტელიგენციისთვის სასიცოცხლო ძარღვად გადაიქცა: სიმდიდრე და ქონება მხოლოდ იმას რჩებოდა ხელში, ვინც სამსახურში იყო. სამსახური თავად-აზნაურულ ინტელიგენციის საყოველთაო იდეალად შეიქნა და სამსახურისთვის მოზარდ თაობას აღზრდა-შეურყეველ პრინციპად. მემამულეობა დაიჩრდილა; იმისი ადგილი მოხელეობამ და სამსახურმა დაიკავა. ამ ცვლილებისა გამო თავად-აზნაურული ინტელიგენცია წინანდელზე უფრო მეტად დაშორდა ქართულ სოფელს და მშრომელ ხალხს. წინად თუ ქართველი თავად-აზნაურობა საქართველოში პოულობდა სამსახურს, ახლა, რუსეთში ნაციონალიზმის გაძლიერებისა გამო, იმპერიის სხვა ადგილებში უხდება მას სამსახური; მაგრამ იქაც ძლიერს კონკურენციას უწევენ მას რუსეთის საკუთარი ინტელიგენტური ძალები. დიდი ნაწილი საქართველოს თავად-აზნაურულ ინტელიგენციისა აღნიშნულ პირობების გავლენით საბოლოოდ სტოვებს სამშობლოს და რუსეთის ქალაქებში იწყებს სამსახურს, სადაც იგი თანდათან ჰკარგავს ეროვნულ ვინაობას, ივიწყებს სამშობლო ენას და სწყვეტს უკანასკნელ კავშირს სამშობლოსთან. ადგილობრივ დარჩენილი ინტელიგენცია კი თავისუფალ პროფესსიებს ეტანება: ჩნდებიან ქართველი ექიმები, ვექილები, ინჟინრები, მასწავლებლები, კომისიონერები და სხვა. ამ თავისუფალ პროფესსიის ხალხს უერთდებიან ჩვენს დროში ის ნასწავლი მემამულენიც, რომელნიც ახლა ჰყიდიან თავის მამულებს.

ამგვარად, თანამედროვე თავად-აზნაურული ინტელიგენცია უმთავრესად თავისუფალ პროფესსიის ხალხისაგან შესდგება. ამ ხალხს ტრადიცია არ აერთებს ქართველ ერის დანარჩენ ნაწილებთან, ხოლო ეკონომიური ინტერესი კი მოუსვენრად ჩასძახის ყურში, რომ ცხოვრებისათვის საკმაო შემოსავლიან სამუშაოს იგი ქართულ ნიადაგზე ვერ იპოვის. ქართველ ერის ცხოვრება ჯერ ისე ნაკლებ არის ეკონომიურად განვითარებული, რომ იმის მწარმოებელ ელემენტებს ძლიერ ნაკლებ და ძლიერ იშვიათად ესაჭიროებათ თავისუფალ პროფესსიის განათლებული ხალხი. ქართველი ინტელიგენცია, ჯერ ინსტიქტურად — და შემდეგ შეგნებულად, მეცადინეობს,—გაარღვიოს ნაციონალური ზღუდეები, გადალახოს იგი და თავისი ინტელიგენტური შრომა შეაძლიოს, არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ ყველას,—ეროვნების განურჩევლად. ამგვარად, ეკონომიური ინტერესი საქართველოს თავად-აზნაურულ ინტელიგენციას ნაციონალიზმის მტრად და ინტერნაციონალიზმის მოსარჩლედ ჰხდის. რა თქმა უნდა, თვით ამ ინტელიგენციის შეგნებაში ეს ინტერნაციონალიზმის ნაკარნახევია არა ეკონომიურ ინტერესებისაგან, არამედ ხალხთა სოლიდარობის და საერთაშორისო ჰარმონიის მოსაზრებით, ხოლო ნაციონალიზმი კი წყეული საკითხია და ისტორიის შთამომავლობითი სენი.

საქართველოს თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ მეცხრამეტე საუკუნე ნაციონალიზმის ქადაგებით დაიწყო; ცოტა ხნის შემდეგ, ქართული ნაციონალიზმი რუსულ სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმს დაუმეგობრდა და ბოლოს ინტერნაციონალიზმად გადიქცა. დიალექტიკის მოტრფიალეს განვითარების ამ ციკლში თამამად შეუძლიან ჰეგელისებური ტრიადა აღმოაჩინოს. განვითარების რგოლი შეკრულია და ამასთან თავად-აზნაურული ინტელიგენცია საბოლოოდ ზურგ-შებრუნებული უდგა ქართულ ნაციონალიზმს. ქართველ ერის სოციალურ ორგანიზმს საბოლოოდ ჩამოშორდა თავად-აზნაურული ინტელიგენცია, ჩამოშორდა არა შეუგნებლივ, არამედ ეკონომიურ ნიადაგზე და პრინციპიალურის მოსაზრებით.

აღნიშნული ინტერნაციონალიზმი კავკასიაში ეკონომიური საჭიროებაა არა მარტო ქართველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციისთვის, არამედ ყველა იმ კავკასიელ ერის ინტელიგენციისთვის, რომლის ეკონომიური განვითარებაც საკმაო სამუშაოს არ აძლევს თავისუფალ პროფესსიებს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება თითქმის ყველა ეროვნული ინტელიგენცია სომხის გარდა. სომხის ინტელიგენცია მაგრე რიგად არც იჩენს მიდრეკილებას ინტერნაციონალიზმისკენ; იგი უამისოდაც საკმაო გასამრჯელოს იღებს თავის მდიდარ ბურჟუაზიისაგან. საინტერესოა თათრების მდგომარეობა ამ ინტერნაციონალისტურ ტრაგი-კომედიაში. თათრების საკუთარი ინტელიგენცია მეტად პატარა ჯგუფს შეადგენს. ამ ჯგუფისთვის ინტერნაციონალიზმი ეკონომიურ საჭიროებას სრულებით არ შეადგენს, სამაგიეროდ სხვა ერთა ინტელიგენცია ძალიან მეცადინეობს დაანახოს თათრებს თავისი ინტერნაციონალიზმი. რა თქმა უნდა, კავკასიის ინტერნაციონალიზმის კონცერტში პირველ სკრიპკის როლს ისინი ასრულებენ, ვისაც არც ეხლა ეგულება აქ თავისი ნაციონალური ბურჟუაზია და არც მომავალში მოელის მას. ბერძენი, ოსი, კავკასიელი რუსი, ებრაელი და სხვა ჩვენში აუცილებლივ ინტერნაციონალისტია, თუ რუსთა პატრიოტულ საზოგადოებას არ ეკუთვნის.

მკითხველი ჰხედავს, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ვიწრო ჯგუფების ეკონომიურ ინტერესთა ნიადაგზე აღმოცენებულ ინტერნაციონალიზმისა. მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ საერთოდ წინააღმდეგი ვიყოთ ინტერნაციონალიზმისა. პირ-იქით. ინტერნაციონალიზმიც არის და ინტერნაციონალიზმიც. ზოგჯერ იგი იბადება ერის კულტურულ ცხოვრების გარეშე და აღნიშნავს იმის ზოგიერთ ელემენტების გამოყოფას ეროვნულ სხეულიდან, ზოგჯერ კი იგი თვით ეროვნულ კულტურის ნიადაგზე ვითარდება და გამოჰხატავს ერის კონსოლიდაციას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ინტერნაციონალიზმი ნაციონალიზმის წინააღმდეგობა კი არა, პირ-იქით ნაციონალურ კულტურის ბუნებრივი გვირგვინია. ჩვენ მხურვალე მოსარჩლე ვართ ამ ინტერნაციონალიზმისა, რადგან იმის დასაბამს და ეკონომიურ ფუძეს წარმოადგენს არა ვიწრო ჯგუფების მადა, არამედ მშრომელი ხალხი და შრომის გარშემო აყვავებული კულტურა.

სახელმწიფო სათათბირო

გუჩკოვი თავმჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა სიას კითხულობენ, სხვათა შორის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 34 დეპუტატის შეკითხვას; დეპუტატები განმარტების თხოულობენ—რომ გამოიწვია ქალაქის ამომრჩეველთა საზოგადოებას გაუქმების ცირკულიარიო.

შემდეგ სასკოლო კანონ-პროექტის მე 17 მუხლს იხილავენ.

ამ მუხლის ძალით, რუსულის არ მცოდნე ბავშვებს, პირველ ორი წლის განმავლობაში, ყველა საგნები დედა ენაზე უნდა ასწავლიდნენ, ხოლო მესამე წლის დასაწყისიდან, სამღთო სჯულისა და დედა ენის გარდა, ყველა საგნები რუსულად უნდა ისწავლებოდეს.

ეპისკოპოზ ევლოგის წინადადება შეაქვს, რომ სამხრეთ და ჩრდილო მხარესა და ხოლმშჩინაში, მალოროსთა და ბელოროსთა მოსახლეობის სჭარბეში, სადაც კათოლიკეთა სარწმუნოებაა გავრცელე-

ბული, სამღთო სჯული რუსულს ენაზე ისწავლებოდეს.

ტიჩინინი მის შესწორებას ემხრობა და ამბობს, რომ ბელორუსთა და მალორუსთა მოსახლეობაში დროა კათოლიკე სამღვდელოების ძალმომრეობა აილაგმოსო.

მაცეევიჩი ეპისკოპოზ ევლოგის უპასუხებს და აღნიშნავს, რომ როდესაც კანონი ცხადად და ნათლად ამბობს—სამღთო სჯული დედა ენაზე ისწავლებოდესო,—რაიმე გამონაკლისის გაკეთება საჭირო აღარ არის. თითონ მშობლებმა უნდა გადასწყვიტონ, თუ მათმა შვილებმა რომელს ენაზე ისწავლონ.

ბულატის მოსაზრებით ეპისკოპოს ევლოგის შესწორება სამღთო სჯულის სწავლების საქმეს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს, ამისათვის მოითხოვს, რომ სამღთო სჯული მხოლოდ დედა ენაზე ისწავლებოდეს.

მამა იუშკევიჩი ემუდარება სათათბიროს, ბელორუსია კათოლიკე მღვდლების გავლენისაგან დაიხსენით, ვინაიდინ ჯერ ხომ სული წარიტაცეს, ახლა კი ხალხოსნობის წარტაცებაც ნებავთო.

ზავიშჩი ლიტველთა უფლებას იცავს და ამბობს, რომ ერის განმარტება ადგილობრივ უნდა ხდებოდესო.

ეპისკოპოსი ევლოგი ამბობს, რომ ჩემი შესწორება კოვალევსკის შესწორების პირდაპირი განვითარებაა; რადგანაც კათოლიკე სამღვდელოება განსაკუთრებულ ტენდენციებით ხელმძღვანელობს, საჭიროა ყველა კათოლიკენი პოლონელებად ჩავთვალოთო.

მომხსენებელი **ფონ-ანრეპი** განმარტავს, რომ კომისიას შეუძლებლად მიაჩნდა ელიარებანა, რომ სკოლებში სწავლება ბელორუსთა და მალოროსთა ენაზე წარმოებულიყო; ამისათვის თხოულობს, რომ ეს შესწორება განსახილველად კვლავ კომისიას გარდაეცეს.

მე-18 მუხლს იხილავენ. ეპისკოპოსს ევლოგის შესწორება და მისი შესახები მოსაზრებანი კომისიას გადაეცა.

19—23 მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ. მერე მორიგ საკითხზე გადადიან, ხოლო სასურველად მიიჩნიეს, რომ მოწაფეთა გამოცდის დროს, სამოსწავლო საბჭომ უფრო მეტი ხალხი მიიწვიოს ხოლმე.

მე 23 მუხლი ამბობს, რომ ყოველს სკოლაში ბიბლიოთეკა იქონიონ, და სახელმძღვანელო წიგნებს მოუყარონ თავი.

პროგრესისტების შესწორებით, ხელ-მოკლე მოწაფეებს სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები უსასყიდლოდ ეძლეოდეთ.

კადეტების აზრით, სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები ყველა მოწაფეებს უსასყიდლოდ უნდა ეძლეოდეთ.

ამ მუხლს, ფონ-ანრეპისა და პროგრესისტების შესწორებით ღებულობენ:

პირველ-დაწყებით სკოლებს სახსარი უნდა მიეცეთ ბიბლიოთეკისა, სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნთა შესაძენად, რათა ამით ხელმოკლე მოწაფეებმა უსასყიდლოდ ისარგებლონ.

მეოთხე თავს უკამათოთ ღებულებენ.

ხანგრძლივს კამათს იწვევს **31 მუხლი, რომელიც მასწავლებელთა განათლების ცენზს ეხება** და ამბობს, რომ მასწავლებლებად მართლმადიდებელი რუსის ქვეშევრდომნი უნდა იყვნენო.

ლეონოვი ოქტომბრისტების შესწორებას იცავს და ამბობს, რომ პირველი-დაწყებით სკოლის მასწავლებლად ქრისტიანები უნდა იყვნენო. ორატორის აზრით, თუ მასწავლებლად უსათუოდ მართლმადიდებელს მოვითხოვთ, შესაძლოა აქან კლერიკალიზმი წარმოშოსო.

გულკინი. წინააღმდეგია იმისი, რომ მასწავლებელი უსათუოდ მართლმადიდებელი იყოს.

მამა გეპეცკი. კომისიის რედაქციას ემხრობა და ამბობს, რომ ამ მუხლის მიღებით პირველმა სათათბირომ სავალდებულოდ აღიარა, რომ მოწაფეებს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აღზრდა მიეცეს; ჩვენ, თუ თანდათანობას დავიცავთ, მაშინ მასწავლებლად უსათუოდ მართლმადიდებელნი უნდა განვაწესოთ.

ტიჩინინი ემხრობა იმ შესწორებას, რომელიც ამბობს: 1872 წ. დებულებით შემოღებული წესი, რომელიც საქალაქო სასწავლებელში მასწავლებლობის ეგზამენის ჩაბარებას აკანონებდა, უნდა მოისპოსო.

მამა გუმილინის აზრით პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლად საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უნდა წესდებოდნენ. ეგზამენის ჩაბარება შეიძლება არა მარტო სახალხო განათლებისა, არამედ სხვა უწყების საშუალო სასწავლებელშიაცაო.

ლიპიაგინი წინააღმდეგია, რომ მასწავლებლად განწესებისათვის მისს სარწმუნოებას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

ბულატი შრომის ჯგუფის შესწორებას იცავს, რომლითაც ხალხს უფლება ეძლევა თვითონ აირჩიოს, რა სარწმუნოების მასწავლებელიცა ჰსურსს.

მამა იურაშკევიჩი შიშობს, რომ ოქტომბრისტების შესწორებამ მართლ-მადიდებლობას ზიანი არ მოუტანოს და თხოულობს დასავლეთ რუსეთში, მალოროსიაში მაინც, ნუ დააკანონებთ ასეთს წესსაო.

მამა სტანისლავსკი. არ მესმის, არა-მართლმადიდებელ მასწავლებელს როგორ შეუძლიან სწორედ განუმარტოს მოწაფეებს რუსეთის ისტორია და მართლმადიდებელ ეკლესიის სახელოვანი სიდიადე.

ბერეზოვსკი მეორე აღნიშნავს, რომ პოლონელთა და რუსთა შორის, სმხრეთ-დასავლეთ მხარეში, დიდი ეროვნული ბრძოლაა; მემარცხენეებსა სურთ, რომ ამ ბრძოლაში პოლონელებმა გაიმარჯონ; ორატორს აოცებს ის, თუ როგორ შეუძლიან სათათბიროს ცენტრს ამ გზით სიარული.

მამა სპასსკი ოქტომბრისტების შესწორების წინააღმდეგია და საჭიროდ მიაჩნია, რომ სარწმუნოებრივზნეობრივი აღზრდა, არამც თუ სამღთო სჯულის მასწავლებელმა, არამედ თვითონ სკოლის მასწავლებელმაც უნდა აწარმოვოსო.

ერმოლაევი შიშობს, ვაი თუ მართლმადიდებელმა მასწავლებელმა სხვა სარწმუნოების მოსწავლეთა სულში ხელის ფათური იწყოს,—ეს კი სტარო-ბრიადცებს დიდ ვნებას მოუტანს; ამისათვის ორატორი ოქტომბრისტების შესწორებას ემხრობა.

მასლენნიკოვი პროგრესისტთა სახელით წინადადებას იძლევა, რომ ამ მუხლიდან სულ ამოშალონ სიტყვები „მართლმადიდებელ სარწმუნოებისა“; სინიდისის თავისუფლების აღიარების მერე, — ორატორის აზრით—უცნაურიცაა ასეთ შეზღუდვაზე საუბარი.

ნეკლიუდოვი აღნიშნავს, რომ ბევრს მოაზრესა და დიდებულ პიროვნებას არა-მართლმადიდებელი მასწავლებელი ჰყოლიათ, მაგრამ ამას მათის მართლმადიდებლობისათვის არ ევნია; ამისათვის იგი შესწორების მომხრეა.

მომხსენებელი კოვალევსკი კამათის დასკვნას აკეთებს. 31 **მუხლს ღებულობენ** ოქტომბრისტებისა და გუმილინის შესწორებით და ჩილიკინის დამატებით, რომ მასწავლებლობის მოწმობისათვის ეგზამენი უნდა ჩააბარონ სასტატო სემინარიებისა, გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა საპედაგოგიო საბჭოებში და აგრეთვე—მამა იურაშკევიჩის დამატებით, რომ სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში და ხოლმშჩინაში მასწავლებლებად მხოლოდ მართლ-მადიდებელნი წესდებოდნენ.

32 მუხლს იხილავენ, რომელიც მასწავლებლობის უფლებასა ზღუდავს.

მასლენნიკოვი და **ბობიანსკი** წინადადებას იძლევიან, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთაც მასწავლებლობის უფლება ჰქონდეთ, უკეთუ მათ ღირსება აყრილი არა აქვთ.

ლიპიაგოვი და **მამა ტიტოვის** აზრით გადაყენებულ სამღვდელო პირთაც უნდა ჰქონდეთ მასწავლებლობის უფლება, თუ იგინი საეკკლესიო წესის დარღვევისათვის არიან გადაყენებულნი და არა საერთო-სამოქალაქო წესით.

ჩელიშევის აზრით მასწავლებლობიდან უნდა იდევნებოდნენ ლოთობისათვის.

პურიშკევიჩს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ სათათბიროს უმრავლესობას, განათლება კი არა, ხალხის წარყვნა ჰსურს; ორატორს ამისთვის შესწორება შეაქვს, რომ მასწავლებლად წესდებოდნენ ყველა უფლებათა და ღირსებათა აყრილი პირნიც (მარჯვნივ ტაშის ცემა, მარცხნივ ძლიერი ხმაურობა, ცენტრი გულისწყრომას აცხადებს).

წინადადება შეაქვთ, რომ პურიშკევიჩის შესწორებაზე კამათი არ გამართონ.

გლებოვი მეორე აცხადებს, რომ პურიშკევიჩის შესწორება სათათბიროს გამასხარავებაა. ამისათვის ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაგებინოთ პურიშკევიჩს, რომ ამგვარ შესწორებაზე სათათბირო თავის დღეში არ იკამათებს (მარცხნივ და ცენტრში ტაშის ცემა).

პურიშკევიჩი. ჩემის შესწორებით მსურდა მეგრძნობინებინა, რომ სათათბიროს უმრავლესობა სკოლიდან მართლმადიდებლობის გავლენის განდევნა და რუსეთის დარღვევა ჰსურს, რადგანაც სკოლა—ეს მომავალი რუსეთია. ჩემი მიზანი მიღწეულია. ამისათვის ჩემი შესწორება უკანვე მიმაქვს.

მოტოვილოვი წინააღმდეგია, რომ მღვდლობიდან გადაყენებულთ მასწავლებლობის უფლება ჰქონდეთ.

ნეკლიუდოვი წინადადებას იძლევა, რომ ეს მუხლი მკაფიოდ შემუშავდეს და შესაფერი შესწორება შეაქვს.

მომხსენებელი კოვალევსკი კამათის დასკვნას აკეთებს. ამ მუხლის კენჭის ყრა შემდეგის სხდომისათვის გადაიდო.

დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან)

16 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ

სტამბოლი. ხარტუმიდან მატარებლით კიტჩენერი ჩამოვიდა.

ალბანელთა მოძრაობა მხოლოდ სკუტარიის ვილაიეტში, ჩერნოგორიის საზღვრებთან, ვრცელდება, მოძრაობის შუა-გული სოფ. სულეიმანია, საითაც 6 ბატალიონი გაგზავნეს.

პარიზი. „ლუმანიტე“-მ საფრანგეთის გემების პატრონთა კომიტეტის საიდუმლო დადგენილება გამოამჟღავნა. ამ დადგენილებიდანა სჩანს, რომ გემების პატრონებსა და მთავრობას შეუმუშავებიათ ისეთი წესები, რომლის ძალითაც გაფიცვის დროს გემებზე სამხედრო მეზღვაურება იმუშავებენ.

ბერლინი. რეიხსტაგში კანონპროექტი შეიტანეს, რომლითაც მახლობელ 5 წლის განმავლობაში ჯარს 515323 აიყვანენ, აქედან 400 ათასს პრუსიიდან გაიყვანენ, რაზედაც 82 მილიონი ერთდროებით, ხოლო 22 მილიონი ყოველწლიურად გადაიდება. 1911 წლისათვის 8 მილიონი მოითხოვეს. მორიგ საკითხად გემებზე გადასახადების გაწერვაა წამოყენებული. კანცლერმა განაცხადა, რომ ამ საკითხის გარკვევის შემდეგ, დაინტერესებულ სახელმწიფოებსაც მოველაპარაკებითო. კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთა წარმომადგენლები ამ კანონ-პროექტს მიემხრნენ.

სოციალისტების აზრით ისეთ გადასახადის დაწესება პურს დააძვირებს. თავისუფალი მ-აზრენი ამ კანონ პროექტის წინააღმდეგნი არიან.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, იუსტა პარტიის მომხრე ბატიანმა განაცხადა, რომ მთავრობა ეროვნულ საქმეებზე ნაკლებად ზრუნავსო. უნგრეთის პარლამენტი საგარეო პოლიტიკას მეტს ყურადღებას უნდა აქცევდესო. ერენტალს უფლება არა ჰქონდა ანექსიის საკითხი გაეყვანა იმ სახელმწიფოთა დაუთანხმებლად, რომელთაც ბერლინის ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ. ამით მან ავსტრო-უნგრეთს ნდობა დაუკარგა; ინგლისის მოქიშპეობაში გერმანია გარიყული დარჩა და მხოლოდ ავსტრო-უნგრეთის იმედი-ღა აქვს, რომელიც ეკონომიურის მხრივ უკვე ნაღებ მოხდილია. უნგრელები ყოველთვის იცავდნენ კავშირს, ხოლო გერმანიის საზოგადოებრივი აზრი, ოფიციალურის გარეითად, ყოველთვის ავსტრიის მოსაზრებას ემყარება, ვიდრე უნგრეთისას.

ათინა. ვენიზელოსმა ლარისში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მომავალი ეროვნული კრება კონსტიტუციას გადაშინჯავს და შინაგან საქმეთა დაუყოვნებლივ რეფორმებს შეამუშავებსო. განზრახულია, რომ სამხედრო და საზღვაო სამინისტროები გააერთიანონ, ჯარში და სამხედრო გემებზე ცვლილება მოახდინონ, რისთვისაც უცხოელ ინსტრუქტორებს მოიწვევენ. მთავრობა მხოლოდ მშვიდობიანობის საქმეს ემსახურება, რადგანაც ქვეყანას ხანგრძლივი დასვენება სჭირია და სამხედრო ძალის გასაძლიერებლად, სახსრის შოვნაა საჭირო.

საბერძნეთის ერი კმაყოფილებით მიეგება ოსმალეთში კონსტიტუციის გამოცხადებას, რაც საბერძნეთ-ოსმალეთის ინტერესებით აიხსნება. მთავრობა ყოველ ღონესა ხმარობს, რომ ოსმალეთთან და ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებთან რაიმე უთანხმოება არ მიუხდეს. ამ საქმეში მთელ განათლებულ ქვეყნების თანაგრძნობასაც ელის.

მისი სიტყვა ძლიერის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

მექსიკა. ბიხუახუის მახლობლად, ბადერის მიამხრეთა რაზმის 400 მეომარი მთავრობის ჯარმა დაამარცხა; 13 რევოლუციონერი მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს. მთავრობის ჯარში რამდენიმე დაიჭრა.

კორკი. რედმინდის მომხრენი იბრიანის მომხრეებს დაერივნენ. 80 კაცია მოკლული.

ლონდონი. საიდუმლო სხდომაზე, მეფემ პარლამენტის დათხოვნის ქაღალდზე ხელი მოაწერა; ახალ პარლამენტს 1912 წ. მოიწვევენ.

ლონდონი. მეფემ, პარლამენტის დახურვის დროს, სიტყვა სთქვა და აღნიშნა, რომ მეფე ედუარდის გზას არ გადაუხვევო. ყველა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი განწყობილება გვაქვსო. მეფემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ კანადასა, ნიუფაუნლენის და შეერთებულ შტატებთან თევზის მრეწველობის საკითხში მორიგება მოხდა. განაცხადა აგრეთვე, რომ კონაუტის ჰერცოგს სამხრეთ-აფრიკის კავშირის პარლამენტის გახსნა და ინდოეთის ადმინისტრატიულ რეფორმების მოხდენა დაევალა. მადლობა განუცხადა ქვედა პალატას, რომ სამხედრო გემთა გასაძლიერებლად და მოხუცთა პენსიებზე დიდძალი ფული გადასდო. მეფემ მწუხარებით გაიხსენა, რომ ქვედა და ზედა პალატა ვერ მორიგდნენო.

ბუდაპეშტი. პანგერმანიული მოძრაობა უმთავრესად გერმანიიდან მომდინარეობს. უნგრელები იძულებულნი გახდებიან, თუ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი არ შეიცვალა, გერმანიის კავშირის წინააღმდეგ გაილაშქრონ. ერენტალმა ყალბი საბუთები შეისყიდა და უნგრეთის სერბთა საწინააღმდეგოდ მეტად უხერხულად გამოიყენა; ამით სურდა სერბიელთა და უნგრეთის დამოუკიდებელ პარტიის დაახლოვებისათვის სახელი გაეტეხნა. ბოსნიაში სერბებს სისტემატიურად სდევნიან, რასაც ხორვატიის მთავარეპისკოპოსი შტადლერი ხელმძღვა-

---

კვნესა

საცხად თუ ძილში
რად ხდება ესა,
რომ არ მშორდება
გულიდან კვნესა?
შუაზე გაყვა
ჩემი სიცოცხლე
და დაუკარგა
სითბო, სიცხოვლე.
მომიკვდა ვინმე?
დავკარგე რამე?
ან მომივლინა
ის რისხვად ცამა?
არაფერსა ვგრძნობ
ვითომ მე დღესა.
მაშ გულს ნაღველი
რამ ჩამილესა?
მაშ რისთვის, ნეტავ,
უხმო სევდამა
ასე უწყალოდ
გული შექამა?!
ბევრი დავკარგე,
ბევრი მომიკვდა,
ათასნაირი
საქმე წამიხდა
ხანი წავიდა,
ჯავრიც გადვიდა...
ტყუილად ვფიქრობ:
ის ისევ დარჩა,
ვით რკინას ჟანგი
გულს ისე შაჰრჩა;
ათასის ჯავრის
კენტად შობილი,
ჰია გულისა
კვნესად ცნობილი,
ის განუყრელი
ჩემი ძმობილი
გულში მესობა,
როგორც ლახვარი.
როგორ მძიმეა,
როგორ საზარი!
რად არ მშორდება,
ჩემთან რად არი?
რაც ერთხელ ვიგრძენ
ის არ მეყოფა?
გულში შხამ-გესლად
რაღა-ღა მესობა?
როდემდის გასტანს
მისი მეფობა?
კვნესის, მაკვნესებს
როს არ მგონია,
სული ამომხდა
ასე მგონია.
რომ ის აწონოს
რამე სასწორზე
ხმელეთს არა აქვს
იმის ღონეა.
მინდა დავძლიო,
მაგრამ ვერ ვძლიე,
ღვინო არაყიც
ბევრჯელა ვლიე,
უჯავრდი კვნესას,
ათასჯერ ვწყიე,—
არ იქნა თავი
ვერ დავაღწიე.
და ვერც დავაღწევ:
სიცოცხლეს ჩემსა,
ვით წყალი გემსა,
თან დაჰყოლია,
ჯადოდ ჩემს გრძნობებს
ზედ დასწოლია.
ჩავალ სამარეს,
ვგრძნობ, თან ჩამყვება,
არ მომშორდება
გულს დამაწვება,—
ზევიდან ლოდი
მიწაში ისა,
ყორანივითა
ჩემს გულზედ ზისა,
არ ჩამოუშვას
სხივები მზისა.
არსიდან ვნახო
სიმწვანე მთათა,
არც სიხარული
ჩემ ტანჯულ ძმათა.

ვაჟა-ფშაველა.

ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების გამო.

ცისა კაბადონს მოსწყდა ვარსკვლავი,
უფსკრულს შთაინთქა, ჩაჰქრა ელვარე,
კაცობრიობის დიდებულ შვილსა,
გულში ჩაიხვევს ბნელი სამარე...
ღრუბელთა გუნდი ცაზე გაეკრა,
ნისლმა მოიცვა მშობელი მხარე,
ძაძით მოსილა მთელი ქვეყანა,
გლოვა ტირილი გაი მის მწარე.
ჩაჰქრა ლამპარი მთელ მსოფლიოსი,
ბნელსა წყვდიადში მანათობელი,
და საუკუნოდ მიშორდა სოფელს
დიად მომავლის მახარობელი!..
მაგრამ სამსხვერპლო კოცონი ღვივის,
ჯერ კიდევა სდუღს სიცოცხლის ძალი,
კვლავ ცხოვრების ზღვა ტალღებს ამქუხრებს,
ბრძოლის გუგუნი ჯერ არ მიმქრალა...
„სიყვარულის“ ჰანგს ჩანგი აელვარებს,
უკვდავის მოძღვრის სიტყვა მართლდება
და განთიადის მოლოდინშია
ადამიანი სულით ახლდება!..

ა. ხვანელი.

მინიატურა

(პეტერ ალტენბერგისა)

სამუშაო კაბინეტი...

ახალგაზდა ქალი მდაბალ, ღრმა სავარძელში ზის. ხელები მუხლებზე აქვს დაწყობილი. მთრთოლვარე თითები გადახლართვია. ქმარი საწერ მაგიდასთან აღელვებული ზის და თუთუნსა სწევს. ხან წინა და უკან ჩქარის ნაბიჯით დადის, ჯდება, ხელ-ახლა დადის.

ისინი ერთმანეთს არ უცქერიან. ხანგრძლივი, შიშ-მომგვრელი დუმილია.

ქმარი გამოსწევს მაგიდის უჯრას, ამოიღებს ყუთს, ახდის თავსა და რევოლვერს ხელს მოჰკიდებს.

ახალგაზდა ქალი მას ალმაცერად ადევნებს თვალ-ყურს, თრთის და გაშეშებული ზის სავარძელში.

ქმარი: „რაიმონდა, მიუახლოვდი ტელეფონს“.

ქალი სდგება და უახლოვდება აპარატს. ერთ სოლინარს (ტუბკა ტელეფონისა) ქმარი გადასცემს მას, მეორეს თავის ყურთან მიიდებს.

— შენი საყვარლის ტელეფონის ნუმერი?!

ქალი სდუმს...

— ნუმერი იმის ტელეფონისა?!

— „57—12“ ს.

პაუზა.

ქმარი უკარნახებს.

— „ტელეფონთან რაიმონდაა!“

ქალი იმეორებს.

ტელეფონში ისმის პასუხი.

ქმარი. „სიყვარულში და ნაღველში ვატარებ ჩემს დაწყევლილ სიცოცხლეს“.

ქალი იმეორებს.

ქმარი. „მხოლოდ შენთან, მხოლოდ შენს ახლო ვარ ბედნიერი“.

იგიც იმეორებს.

ქმარი: ჩემი მეუღლე მოულოდნელად სამის დღით სხვაგან წავიდა. მოდი ამ წუთში შენს რაიმონდასთან“.

ქალი სდუმს.

ქმარი დაშტერებით თვალებში შესცქერის.

იგი ისევ სდუმს.

ქმარი მაღლა ასწევს რევოლვერს.

ქალი იმეორებს ტელეფონში მის სიტყვებს.

ტელეფონში გამოურკვეველი პასუხი ისმის.

ქალი მთელის ძალ-ღონით ჰყვირის ტელეფონში: „არ მოხვიდე! ის აქ არის! ჩვენი ამბავი გამჟღავნდა!“

ქმარი ხელ-ახლად უმიზნებს რევოლვერს: ჩახმახი დაიჩხაკუნებს. მკვდარივით ფერ-მიხდილი იგი შეჰყურებს ქმარს თვალებში უძრავ, ნაღვლიანის შეხედვით.

ქმარი რევოლვერს ნელა ძირს უშვებს, მიდის მაგიდასთან და ჩამოჯდება.

ხანგრძლივი დუმილია.

შემდეგ იგი ჩაილაპარაკებს ნელის ხმით: „მაშ, აი, თურმე რას ნიშნავს, როდესაც ქალი **ნამდვილად** შეიყვარებს.., რაიმონდა, გასწი, მშვიდობით!“

ქალი ოთახიდან ნელ-ნელა გადის.

შალვა ტატიშვილი.

ნელობს. ხორვატიაში ბანი ტომა შევიჩი სამხრეთ სლავიანთა კლერიკალურ სახელმწიფოს შექმნასა სცდილობს რასაც სათავეში ხორვატები სდგებიან. ორატორი ბოსნიისა და ჰერცოგოვინიის უნგრეთთან შემოერთებას ითხოვს, რათა ამ ქვეყნებს ფართე ავტონომია და დამოუკიდებელი განვითარება მიანიჭონ.

რუსეთი

ჰელსინგფორსი. მთავარმა კანტორამ სახელმწიფო ხაზინას სამხედრო საჭიროებისათვის 9 მილიონი გადასცა.

დრისსა. უცნობებმა სახაზინო არყის დუქნის დახლიდარი მოჰკლეს და დუქანი გაძარცვეს.

პენზა. შაბათს, შერემეტიევში (ჩემბარის მაზრა) ცეცხლმა იმსხვერპლა 7 კაცი.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ბინის გადასახადი ტფილისში.** ქალაქის მდივანმა მ. ა. ჯაბარძემ საყურადღებო მოხსენება შეადგინა, რომელშიაც თხოულობს, რომ ბინის დამქირავებლებს ქალაქის სასარგებლოდ იმ ფულის, 20% გადახდეს, რამდენსაც ბინაში აძლევენ და ამით უფლებაც მიენიჭოთ ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ამ მოხსენებამ, რომელიც გამგეობამ მოიწონა, ქალაქის საბჭოში დიდი კამათი გამოიწვია და არსებითად მოწონებულ იქმნა ვერ გადასწყდა საბოლოოდ მხოლოდ ის, თუ რამდენი გადასახადი დაედოს ბინის დამქირავებელთ. საბჭომ მომხსენებელს დაავალა, მომავალ კრებაზე წარმოადგინოს დასაბუთებული მოხსენება გადასახადის განსაზღვრის შესახებ.

◆ **კოტე მესხის იუბილე.** კვირას, 14 ნოემბერს, ქართულ-დრამატიულ საზოგადოების კანტორაში შეერთებული კრება ჰქონდათ გამგეობასა და ადგილობრივ რედაქციათა წარმომადგენლებს დამსახურებულ მსახიობის კოტე მესხის იუბილეს შესახებ მოსალაპარაკებლად. არჩეულ იქმნა აღმასრულებელი კომისია იუბილეის მოსაწყობად. საიუბილეო წარმოდგენა და დღესასწაული მოხდება დეკემბერში სახაზინო თეატრში.

◆ **სასამართლოში.** 15 ნოემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ინჟენერ ვ. ს. კოლიუბაკინისა, რომელმაც ამ წლის 16 მაისს რევოლვერით მოჰკლა თავის მეუღლის საყვარელი—ნამესტნიკის კანცელარიის საქმის მწარმოებლის უფროსი თანაშემწე ნიკოლოზ ვებერი. გუშინ სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც კოლიუბაკინი დამნაშავედ იცნო და 3 წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა. სასამართლომ ამასთანავე დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ხელმწიფის წინაშე, რომ კოლიუბაკინს სასჯელი შეუმსუბუქდეს.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭოში.** 15 ნოემბერს, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, საბჭოს ხმოსანთა მორიგი კრება მოჰხდა. კრებამ დაადგინა: 1) მიღებულ იქმნას ხმოსნის ვესოლოვზოროვის წინადადება, რომ ტფილისში საქალაქო დებულების 35 წლის არსებობის გამო ქალაქის მუზეუმში ჩამოკიდებულ იქმნას სურათები ტფილისის მოურავად ნამყოფ პირებისა და დღესასწაულზე წაკითხულ იქმნეს მოხსენება იმ პირთა შესახებ, რომელთაც ქალაქის სასარგებლოდ უმოღვაწნიათ; 2) არჩეულ იქმნას ქალაქის ბაღების და ტყის გამშენებელ კომისიის თავჯდომარედ ხმ. სვეშნიკოვი, 3) მიეცეს 61 მ. 50 კ. ქალაქის გარდაცვალებულ მუშის ნაძიკიძის ოჯახობას, 4) უყურადღებოდ იქმნეს დატოვებული გუბერნატორის წინადადება, რომ ბეითალს შეინ-ფოგელს პენსია მოემატოს (ახლა ეძლევა 300 მან.) და 5) შეფასებულ იქმნას ნაძალადევში დღემდე შეუფასებლად დარჩენილი ქალაქის მამულები. დასასრულ კრებამ აირჩია 8 წარმომადგენელი ქალაქის უძრავ ქონებათაგან სახელმწიფო გადასახადის შემკრებ საქალაქო საკრებულოში.

◆ **სამრევლო სკოლების რევიზია.** ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვანჩაკოვი, რომელიც საქართველოს საექსარხოსოს სამრევლო სკოლებისა და საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოების საქმეების რევიზიას მოახდენს.

◆ **ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის არჩევა.** ხმოსნებმა ჯერ ვერ გადასწყვიტეს, ვისი კანდიდატურა წამოაყენონ ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზე, ამიტომ მათ ამ საგნის გამო დღეს კერძო თათბირი ექმნებათ. ორშაბათს, 22 ნოემბერს, ეს საკითხი შეტანილ იქმნება ქალაქის საბჭოში.

◆ **სამღვდელოების კრება.** 20 დეკემბერს ტფ. სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების კრება მოჰხდება რამდენისამე საყურადღებო საგნის განსახილველად.

◆ **მეუღლის მოკვლა.** 15 ნოემბერს, საღამოს $11^{1}/_{2}$ საათზე, სრეტენსკის შესახვევში მცხოვრებმა იოსებ ივანეს ძე ბერიძემ (35 წლისა) დანით მოჰკლა თავისი მეუღლე ეკატერინე დავითის ასული ბერიძისა (28 წ.). მკვლელმა პოლიციაში განაცხადა, უკანასკნელს ხანს ცოლი მღალატობდა და იმისთვის მოვკალიო.

◆ **ხმოსანი ბაბოვი.** როგორც მკითხველთ უწყიან, ქალაქის საბჭოს ხმოსანს ა. ს. ბაბოვს, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და ახლა დაბრუნდა ტფილისში, ხმოსნის ხარისხი დაუბრუნდა. ქალაქის საბჭომ მიიღო მხედველობაში ხმოსნის დაუღალავი შრომა და საქალაქო საქმეთა ცოდნა და დაადგინა, სთხოვოს მას, მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ კომისიებში, რომელშიაც იგი წინად მუშაობდა.

◆ **ტფ. სახალხო უნივერსიტეტი.** 15 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოჰხდა. გამგეობამ დაადგინა, 28 ნოემბერს სახალხო სახლში ტოლსტოის ხსოვნის პატივსაცემლად სალიტერატურო დილა გამართოს. არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა სალიტერატურო დილის დაწვრილებით პროგრამის შემუშავება. გამგეობამ აგრეთვე დაადგინა, 27 დეკემბერს ღარიბ ბავშვთათვის საბავშვო დღესასწაული გამართოს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში.

◆ **ტფ. ხმოსანთა არჩევა.** 15 ნოემბერს ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, შეუდგეს ხმოსანთა არჩევნების სამზადისს. ამომრჩეველთა სიის შესამოწმებლად საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია, რომელშიაც 11 კაცი შედის.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭოს ხარჯთაღრიცხვა.** ამ დღეებში დასრულდება ტფ. ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ აღრიცხვის ბეჭდვა და 22 ნოემბრის კრებაზე ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ **ბათომის საბაჟო სამმართველოს გაუქმება.** სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქმნა კანონპროექტი ბათომის საბაჟო სამმართველოს გაუქმების შესახებ. ამ პროექტით, ის დაწესებულებანი, რომელსაც აქამდე ეს სამმართველო განაგებდა, ბაქოს ოლქის სამმართველოს უნდა დაექვემდებაროს.

◆ **მუხრანის ხიდი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, იმდენივე გადასახადი დააწესოს მუხრანის ხიდზე გამვლელთათვის, რამდენიც ვერის ხიდზეა შემოღებული.

◆ **ჟურნალი „ერი“.** რედაქციამ მიიღო ქართულ კვირეულ ჟურნალის „ერის“ მორიგი ნომერი (25) ნომერი, რომელიც გამოვიდა ვ. სურგულაძის რედაქტორობით.

◆ **დაუდევრობა.** ჩვენ გვთხოვენ აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. კავკ. ქრისტ. აღმად. საზოგ. 50 წ. იუბილეზე ამ სიცივეში ჩამოუყვანიათ სოფლებიდან თბილად ჩაუცმელი სკოლის ბავშვები მათის მასწავლებლებითა და მღვდლებით. ღამე დასაძინებლად მათვის მიუჩენიათ სემინარიის ძველი შენობა, სადაც მარტო თივით გატენილი ლეიბებია, ხოლო ზედ დასახური საბანი არავის მოეპოვებოდა.

◆ 16 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო დავით ბგდამელოვი, რომელიც გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

15 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში 55 უპასპორტო შეიპყრო.

პატარა ფელეტონი

„სალიტერატურო საპატიმრო“

ამ სათაურით გაზეთ „რეჩის“ მე-305 №-ში მოთავსებულია წერილი ბ-ნ ი. პრუგავინისა. მოგვყავს ამ საყურადღებო წერილის შინაარსი:

განკერძოებული საპატიმრო, „ჯვრებად“ წოდებული (Кресты), რომელიც მდებარეობს პეტერბურგში, ვიბორგის მხარეს, ნამდვილ სალიტერატურო საპატიმროდ გამხდარა. რა დროსაც უნდა შეიხედოთ შიგ, ყოველთვის ნახავთ დამწყვდეულთა შორის ლიტერატორებსა, ჟურნალისტებსა და რედაქტორებს, რომელნიც სასჯელს იხდიან თავის ლიტერატურულ დანაშაულისათვის. მანდ ზის ეხლა მაგალითად ჟურნალ „ბილოეს“ რედაქტორად ნამყოფი შჩეგოლევი. მასთან ერთად რამდენისამე თვის განმავლობაში იჯდა „ნაშა ჟიზნის“ რედაქტორად ნამყოფი პროფესორი ხოდსკი, რომელიც მხოლოდ ამ დღეებში გამოუშვეს. საპატიმროში ისხდნენ ამ მოკლე ხანში სხვა რედაქტორებიც:

„ნაროდ. ხოზ.“-სი—გოლუბევი, „ტოვარიშჩისა“ — პორტუგალოვი, „ნაჩალოსა“ და „ნაშ გოლოსისა“—გერცენშტეინი, „სვობოდ. სლოვოსი“—გოროდეცკი, „რუსისა“, „დვადცატი ვეკისა“ და „ნოვაია რუსისა“—სუვორინი; აგრეთვე შეპუევი, ციტრონი, 1 სახელმწიფო სათათბიროს წევრი მერკურიევი, კრამალეი, შრომის ჯგუფის ორგანოს „ნაროდ. პრავდისი“—ქ-ნი ხირიაკოვი, გოლოსისა“—ბ-ნი ხირიაკოვი; „რუსსკოე ბოგატსტვოს“ მუდმივი თანამშრომელი პეტრიშჩევი და მრავალნი სხვანი.

ასეთია „განახლებულ რეჟიმში ბეჭდვის თავისუფლების“ სურათი.

ზემოდ მოხსენებულია მხოლოდ ის პირები, რომელთაც უკვე გადაიხადეს თავიანთი სასჯელი, მაგრამ ასეთივე სასჯელი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი აქვთ კიდევ პეშეხონოვსა, ვოდოვოზოვსა, ელპატევსკის, ტანსა და ლავრინოვიჩსა. მსგავსივე სასჯელი „სტრანას“ გამომცემლის პროფესორის მ. კოვალევსკისა სასამართლომ ამ დღეებში შესცვალა. ვ. გ. კოროლენკოს სამართალში აძლევენ, ყბადაღებულ მე-129 მუხლის ძალით, „რუსსკოე ბოგატსტვოს“ ოქტომბრის წიგნისათვის. ბევრი მწერალი კიდევ ჰყავთ სახეში...

მესამოცე წლებში პოეტი ნეკრასოვი მღეროდა:

„წერას ცენზურის დროს ვახერხებდი,
და ნუ თუ ახლა ძნელია წერა“-ო?

თურმე დიდად სცდებოდა დემოკრატი-პოეტი, რადგან უცენზუროდ წერა უფრო ძნელი ყოფილა! თუ მე-60 წლებში „არა-კეთილ-საიმედო“ მწერალს მოელოდა „უბრალო ნაომბახტი“, ანუ „ნაწილი“,—ახლა, „სიტყვის თავისუფლების“ დროს, მის წინ ფართოდ გაღებულია რკინის კარები „ჯვრებისა“ ანუ ბნელი სილუეტები პეტრე-პავლეს ციხისა მისის საიდუმლო ბასტიონებითა და აკლდამებით.

როგორც ჰხედავთ, „ჯვრებში“ ხვდებიან სხვა და სხვა მიმართულებისა და ბანაკის მწერლები, რომელნიც გაერთიანებულნი არიან მხოლოდ პროგრესიულის მისწრაფებით. ეგაა მხოლოდ, რომ „ჭეშმარიტ-რუსთა“ გაჩენის შემდეგ, პროგრესივობა“ ითვლება „კრამოლობის“ ნიშნობლივ თვისებად.

მერე, როგორ სცხოვრობენ ამ „ჯვრებში“ რუსის მწერლები? ამ სატუსაღოში ორი რეჟიმია: ერთი საკუთრად საპატიმროში დამწყვდეულთათვის, მეორე-კი ციხე—გადაწყვეტილთათვის. პირველი მოწყობილია უფრო ძნელ - ასატან პირობებით, ვიდრე მეორე ციხის რეჟიმი. განსაკუთრებით საძნელოა პატიმართა ნახვა, რომლის ნება აქვთ მხოლოდ ახლო ნათესავებს, ისიც ყოველთვის საგანგებო ნებართვით.

ნებადართულია სატუსაღოში მიაწოდონ საცვალი, ტანისამოსი, ჩაი და შაქარი. არავითარ საჭმლისა: პურისა, ქადა-ნაზუქისა, შაშხისა ან ხილის გადაცემა არ შეიძლება. ბალიშისა და საბნის მისაღებად საჭიროა განსაკუთრებული ნება-რთვა საპატიმროს მმართველობისა. თუ ერთი საბანი არ ჰყოფნის, მეორეს არას გზით არ მისცემენ. თუნდაც საკანში სიცივით იყინებოდნენ. მხოლოდ წამოსასხამი შეუძლიათ იქონიონ. ხოლო ზოგიერთ საკანში ისეთი საშინელი სიცივე და ნესტია, რომ იძულებულნი არიან მთელის დღეობით პალტოთი და კალოშებით ისხდნენ.

მწერლისათვის, რასაკვირველია, არსებობის ერთი უპირველესი პირობათაგანია წიგნების მიღება, რაიცა საჭიროა მის სალიტერატურო მუშაობისათვის. ამ მხრივ კი „ჯვრებში“ მეტად ცუდი მდგომარეობაა. ღმერთმან უწყის, რითი ხელმძღვანელობენ სატუსაღოს მმართველნი, როცა პატიმართ ამა თუ იმ წიგნსა უკრძალავენ. ამ შემთხვევაში მათს თვითნებობას საზღვარი არა აქვს და ზოგჯერ კურიოზამდე მიდის.

ერთს მწერალს, „ჯვრებში“ მჯდარს, ამას წინად აუკრძალეს ცნობილ პ. ია—ს მიერ გამოცემულ ლექსთა კრებული სათაურით „რუსის მუზა“. ხოლო ეს კრებული ესაჭიროებოდა დაპატიმრებულს თავის შრომისათვის, რომელიც შეუკვეთა მას ერთის გაზეთის რედაქციამ. მსგავსი მაგალითი მრავალია. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს დაბრკოლება ისპობა, თუ დაპატიმრებულს წაექომაგა რომელიმე ავტორიტეტული დაწესებულება, მაგალითად სამეცნიერო აკადემია. მაგრამ ასეთი ბედნიერი პირი ძალიან ცოტაა. ციხის ეზოში სეირნობის დროც ძალიან განსაზღვრულია (დღეში 15—10 წ.), და შეხუთულს ჰაეში მწერლები საშინლად ავადდებიან.

დიდა, რა საშიში ხალხი ყოფილა ყველა ეს მწერალი და რედაქტორები! მაგალითად პროფესსორი ხოდსკი. მთელ 25 წლის განმავლობაში მსახურებდა იგი „სარწმუნოებითა და სიმართლით“ პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორად ძველის რეჟიმის, დელიანოვისა, ბოგოლეპოვისა და მათ მემკვიდრეთა დროს. ამ ხნის განმავლობაში პოლიტიკურ კეთილ-განზრახვას ამ პროფესორ — მწერლისას არავითარი ეჭვი არ აღუძრავს. და აი ახლა, „კონსტიტუციისა და განახლებულ წყობილების დროს“, იგი მოხუცებულობაში უნდა იჯდეს „ჯვრების“ შეხუთულსა და ჭუჭყიანს საკანში, რომელსაც ერთი ზევით გამოჭრილი სარკმელი-ღა აქვს, საიდანაც გადახედვა შეუძლებელია.

ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, თუ ძალიან ბევრმა რუსის მწერალმა და ჟურნალისტმა, რომელთაც მსგავსი პერსპექტივა მოელოდა, არჩია თავის ჯანმრთელობისა და თავისუფლების დასაცველად სამშობლოს დატოვება, საზღვარ-გარედ ემიგრანტად გარდახვეწა? ასე ჰქნეს სხვათაშორის მაქსიმე გორკიმ, პოეტმა მინსკიმ, „ნოვოსტის“ რედაქტორმა ნოტოვიჩმა, „სინ ოტეჩ.“ რედაქტორმა იურიცინმა, სკირმუნტმა, შრედერმა, აგაფონოვმა, მასლოვმა, ბრუსიანინმა, ლუნაჩარსკიმ და მრავალმა სხვამ.

ამის გამო თავის წერილის დასასრულ ბ-ნი პრუგავინი კითხულობს: განა შეიძლება ამაზედ უფრო ტრაგიკული მდგომარეობა, როცა ადამიანი იძულებულია აარჩიოს ცხოვრების ორ უძვირფასეს და უწმინდეს ღირებულებათა შორის ერთ-ერთი—თავისუფლება თუ სამშობლო?

მართლა რომელი უნდა აარჩიოს საბრალო რუსის მწერალმა?

მოწერილი ამბები

სოფ. ბაში. (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელში 400 კომლი მცხოვრებია, მათ შორის ძლიერ მცირე რიცხვი თავად აზნაურობა. აქვთ მარტო ერთი ერთკლასიანი სასწავლებელი. ყოველ წლივ სწავლობდა 80 ზე მეტი ბავშვი, მაგრამ ეს მცირე რიცხვი ვერ აკმაყოფილებდა სწავლის მსურველთ, ასე რომ ყოველ წელს ას ორმოცამდი ბავშვი რჩებოდა სკოლის გარე. იმისათვის 1909 წლის 4 იანვარს ბაშის მცხოვრებთა უმრავლესობამ სასწავლებლის ორ კლასიანად გადაკეთების შესახებ შეადგინა განაჩენი და გაგზავნა დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს. მოუთმენლად ელოდნენ სკოლის გადაკეთებას და როგორც იყო ეღირსათ. ოქტომბერში 1910 წ. დაინიშნათ მასწავლებელი მთავრობის ხარჯით. ჯერ-ჯერობით გადაკეთებულია ორ კომპლექტიან სასწავლებლად. ამისთანა სასწავლებელში უნდა სწავლობდეს 120 ბავ. ეხლა სწავლობს 140 და მსურველი კიდევ ბევრია. ამისათვის მთავრობა შეჰპირდა, თუ შენობას დაიწყებთ ორკლასიანისათვის, კიდევ დავამტკიცებთ და შემწეობასაც მოგცემთო. ეხლა არის საჭირო დახმარება, და ვინც ამ სოფლის შვილია სხვა და სხვა ქალაქებში მცხოვრები, იმედია არ დაიზარებს თავისავე სამშობლო სოფლის დახმარებას. ყველა ამის გამძღოლი უნდა, რასაც მოკლებულ არიან ბაშელები.

როგორც მოგეხსენებათ, ვაჭრებს დიდი ნდობა აქვს სოფლად, რადგან მათ ფულები უხვრიალებსთ. ეს ვაჭბატონები იმას არ კმარობენ, რომ ხალხს ფცქვნიან, მანეთის სადირალს მეოთხედ ფასად იბევრებენ; ეუბნებიან: „კაცო რად გინდა კლასი, მოგიცდია, იმაში რომ ფულებს ხარჯავო.“ ზოგიერთ ურუს მართალი ჰგონია და უჯერებს. ერთი ამ ვაჭბატონთაგანი გახდავსთ ვლადიმერა მეზითე ამისთანა კაცს ხალხის მომჭირნედაც მოაქვს თავი.

ბაშში წრეულს კარგი მოსავალი იყო სიმინდისა, თითქმის შესანახადაც ვერ დაეტია. ღვინოთ კი ძლიერ ისუსტა, თუმცა არც უწინ მოდიოდა ბლომად; წრეულს დაკუხა და დაუმწიფებლად დასჭკნა, ზოგან კი ყვავილობის დროს მოსწვა. კარგი მოსავალი ჰქონდა ბამბასაც. ცოტა სული მოიბრუნა აქაურმა გლეხმა წარსულ წლების შედარებით.

აქ ძლიერ გახშირდა სახადით ავადმყოფობა. ციება ყოველთვის იყო, მაგრამ ეხლა ნამეტანი იმატა. ბევრი გლეხი უწამლოდ სტოვებს თავის ავადმყოფს, გადიტანისო. ეგ იმიტომაა, რომ ექიმი დაშორებით ჰყავს; წამალი რომ დასჭირდეს, სადღაგუშს ცხრაგვერსზე უნდა იტანოს. ა.—იხტი.

—

დ. ონი. დ. ონში ორასამდე კომლი ებრაელი სცხოვრობს ცოტა თავისუფლადაც სუნთქავენ აქ ეს მრავალტანჯულ ერის შვილები. აქაურ ებრაელებს, სხვებთან შედარებით, პროგრესი ეტყობათ სწავლა-განათლების სფეროში. დღემდე არ არის არც ერთი ებრაელი უმეცარი, სახსრიანი თუ უსახსრო, რომ ონში არსებულ ორკლასიან სკოლაში არ ესწავლის.

ეხლა ებრაელების თხოვნით, მათის რაბინის—დ. ბაზოვის მეცადინეობითა და ქუთაისის სახალხო სკოლათა მეოთხე რაიონის ინსპექტორ—სულაკოვის დახმარებით, ონში გაიხსნა განსაკუთრებით ებრაელთათვის პირველ-დაწყებითი საქალაქო სასწავლებელი, სადაც მასწავლებლად უკვე დაინიშნა ი. გუგა. წელს გაიხსნა მხოლოდ პირველი ორი განყოფილება, შემდეგ წლებში სხვა განყოფილებაც მიემატება.—ამ სასწავლებლის პირობები სავსებით [illegible] ექვემდებარება სხვა სამინისტროს [illegible] სასწავლებელთა კანონებს. მასწავლებელს (რომელიც ასწავლის ქართულს, ანგარიშსა და რუსულს) და ებრაელთა სამღვთო წერილის მასწავლებელს ჯამაგირი ხაზინიდგან მიეცემათ, ხოლო, ეგრეთ წოდებულ შინაურ ხარჯს თვით საზოგადოება კისრულობს. ამათ გარდა სკოლის შენობასა და ყოველგვარ საჭირო დგამებსაც საზოგადოება აძლევს. შენობა უკვე მზად არის, დაკეთებულია მოწაფეთათვის მაგიდები, დაფები და სხვა. რასაკვირველია, რომ ონის ღარიბ ებრაელთათვის ამდენა ხარჯის გაწევა დიდად საგრძნობელია, მაგრამ—სწავლა-განათლებისთვის სულით და გულით მოწადინებული ებრაელები უკანასკნელ კაპეიკს არა ზოგავენ ამ კულტურულ დაწესებულებისთვის. ცუდი არ იქნება ამათ მაგალითს სხვა პროვინციის ებრაელნიც მიჰბაძავდნენ.. სკოლის კურთხევა მოხდა 8 ნოემბერს, საზოგადოების მოწინავე პირთა და მოხელეთა თანადასწრებით... აბდიკანტი

—

სოფ. გურჯაანი. წელს გურჯაანში მოსავალს არა უშავდა-რა, ღვინო, რომელიც მცხოვრებთა უმთავრესს წყაროს შეადგენს. წელს წინა წლებთან შედარებით კარგად ფასობს: საპალნე იყიდება 7, 8 და 9 თუმნად. გურჯაანში არის ისეთი გლეხიც, რომელიც ამ ჟამად ასისა და ორასის თუმნის ღვინო აქვს გასაყიდი.

საერთოდ, გურჯაანი მდიდარი სოფელია, მაგრამ მცხოვრებნი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სწავლა-განათლებას. ამ სოფელში არ მოიპოვება ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი.

ამ მოკლე ხანში აქ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. გაიხსნა აგრეთვე სახელმწიფო ქსენონი, სადაც დანიშნულ იქმნა ახალგაზრდა ექიმი ბ-ნი ჯავახიშვილი, რომელიც ნელ-ნელა იმსახურებს საზოგადოების პატივისცემას. მე მინდა პატივცემულს ექიმს მივუთითო ერთს მოვლენაზე, რომელსაც აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. საქმე შემდეგშია: ამ სოფელში არის კერძო აფთიაქი, რომელიც ბ-ნს ი. ნ. უზნაძეს ეკუთვნის. იმ სახლში, სადაც აფთიაქია მოთავსებული, სცხოვრობს თითქმის დამბლა დაცემული ფერშალი, რომელიც ყოველ-დღე ლოთობს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს ლოთი ფერშალი წაუყვანიათ და ავადმყოფის გასინჯვის დროს მეტის სიმთვრალით წაქცეულა. ეს ფერშალი ხშირად სწერს რეცეპტებს, რომლითაც აფთიაქში ერთის მანეთიდან 6—7 მანეთამდე ახდევინებენ ავადმყოფის პატრონს. საზოგადოებაში ხმა დადის, პროვიზორი წამალში მეტს ფასს იღებსო... ფერშალი რეცეპტზე ფარულ ნიშნებს ასვამს, რომლის მიხედვითაც პროვიზორი რეცეპტში ამა თუ იმ ფასს ახდევინებსო.

კარგი იქმნება ბ-ნმა ჯავახიშვილმა, როგორც ექიმმა, ყველა ეს ხმები კარგად შეამოწმოს და ზომებიც მიიღოს ღარიბ და გაუნათლებელ ხალხის გაყვლეფის წინააღმდეგ. ჩვენ იმედი გვაქვს. მიხეილ მაიერ

თეატრი და ხელოვნება

სომხური თეატრი. 15 ნოემბერს, სომხურ დრამატიულ დასის არტისტებმა ითამაშეს ს. თარაიანის ახალი ორიგინალური 5 მოქ. პიესა „სოკრატი“. პირველ და მეორე მოქმედებაში პიესის ავტორი სოკრატის პირით ლ. ტოლსტოის მოძღვრებას გვიქადაგებდა. მკითხველო, თუ როდისმე ყოფილხართ პროტესტანტების საკრებულოში, სადაც პასტორი „ქრისტეს ძმებს“, მის მოძღვრებას ასწავლის,—სწორედ ამგვარი სცენა წარმოიდგინე: ამ პიესის შემდეგს მოქმედებაში, ავტორი იმავე სოკრატის პირით ქრისტეს მოძღვრებას გვიქადაგებდა, რაც ისტორიულ სიმართლეს არ ეთანხმება, ვინაიდან სოკრატის სწავლა იმას არ შეიცავდა, რაც ავტორმა დაგვისურათა. პიესა ძალიან სუსტი ნაწარმოებია და მოკლებულია ყოველ გვარ ხელოვნურ ღირსებას. იგი არ აკმაყოფილებს ინტელიგენტ მსმენელის მოთხოვნილებას. იგი უფრო გამოდგება სახალხო სცენებისა და მოწაფეთათვის.

ამ დღეს ჩვენ მეორე სასწაული ვნახეთ: სომხური თეატრი და სავსე... მაგრამ ეს უკვე სინამდვილეა და თუ დიდხანს გასტანა ამ გვარმა ინტერესმა თეატრის მიმართ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

Artemius.

უცხოეთი

სუფრაჟისტების გასამართლება.

11 ნოემბერს, ლონდონში დაიწყო 156 ქალის გასამართლება, რომელთაც წინა დღეებში პარლამენტის გარედ დიდი უწესოება მოახდინეს. არეულობაში მონაწილეთ სასამართლომ დააკისრა ყველა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მათ მიაყენეს სხვა და სხვა დაწესებულებას.

სასამართლოში ბრალდებულებმა დემონსტრატიულად განაცხადეს: უწესოება განზრახ მოვახდინეთ, რადგან აღშფოთებულნი ვართ კაბინეტის პოლიტიკითა და პრემიერის ასკვიტის დეკლარაციით, რომლითაც სურთ შეცდომაში შეიყვანონ სუფრაჟისტები და ამომრჩევლები; ამიტომ ვსწუხვართ, რომ უფრო დიდი უწესოებანი ვერ მოვახდინეთო.

სუფრაჟისტებთან ერთად დაპატიმრებულმა ერთმა კაცმა განაცხადა, მე დამნაშავე არა ვარ; მე ვარ ტოლსტოის მიმდევარი და ამიტომ ფიზიკურს ძალას არა ვხმარობ.

ამ უწესოების გამო საზოგადოება კვლავ აღშფოთებულია. ყველა ჰკიცხავს სუფრაჟისტებს.

სუფრაჟისტები კი კმაყოფილნი არიან, რომ ასეთი უწესოება მოახდინეს და არა თუ არ აპირებენ არჩეულს გზას გადაუხვიონ, პირიქით, 10 ნოემბერს ხელ ახლა დაეცნენ პრემიერის რეზიდენციას და ქვებით ფანჯრები სულ ჩაულეწეს. შეიპყრეს 5 ქალი.

განცხადებანი

ექიმი ნიკო ერისთავი ბათუმში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეთოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24

(20—171—17)

დოქტ. ნანასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნანასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეგტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანცი: 6—8 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

თ. მ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნანასარდიანი.**

გამგეობა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხსენებულ ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, **ამა 1910 წელს დეკემბერს** ქვემო-მოხსენებულ რიცხვებში, შუადღის 12 საათიდან, ბანკში შესატან გადასახადების წარმოუდგენლობის გამო, მოხდება საჯარო ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, რომელზედაც გაიყიდება ქვემოდ ჩამოთვლილი ქონებანი.

ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, მსესხებელმა შემოიტანოს ბანკის კუთვნილი ნედოიმკები, პროცენტები ვადის გადაცილების გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია ქონების გასასყიდად დანიშვნამ პირველი ვაჭრობის დაწყებამდე, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს მსესხებელმა უნდა წარმოადგინოს მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე და ამით გაანთავისუფლოს თავისი ქონება გაყიდვისაგან.

გადასახდელი ფული შეიძლება შეტანილ იქნას: ვაჭრობის დღემდე—**ქუთაისში**, ბანკის კასაში; **ტფილისში,**—ბანკის სადგომში, ტფილისის საკომერციო ბანკში, აზოვო-დონის და ვოლგა-კამის ბანკის განყოფილებაში და «ა. ფრიდონოვის და ამხ.» საბანკირო კანტორაში; **ბათომში**—ტფილისის საკომერციო ბანკის და შეერთებულ ბანკების განყოფილებებში—**ფოთში, სოხუმში და ზუგდიდში** ადგილობრივ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრობის დღეს, ვაჭრობის დაწყებამდე, **მხოლოდ** იქ, სადაც საჯარო ვაჭრობა მოხდება—ბანკის გამგეობაში ქუთაისში და ბანკის სააგენტოში **ქ. ტფილისში.**

ამასთან ერთად ბანკის გამგეობა იწვევს ბ-ნთ მსესხებელთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნედოიმკები ვაჭრობის რამდენიმე დღის წინად შეუტანიათ ბანკის კორესპონდენტებთან, სწრაფის დეპეშით აცნობონ გამგეობას ფულის შეტანის შესახებ იმ დაწესებულებათა საშუალებით სადაც ფული შეუტანიათ. ბანკის გამგეობა მინამ არ მიიღებს დეპეშით ცნობას კორესპონდენტთან ფულის შეტანის შესახებ, ფული წარდგენილად არ ჩაითვლება და ამიტომ უძრავ ქონების ვაჭრობიდან არ მოხსნიან.

ბანკის წესდების იმავე მე-19 §-ის თანახმად, როგორც პირველი, ისე მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა მოხდება იმ უძრავ ქონების გასასყიდად, რომელიც ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაშია—ბანკის სააგენტოში ქ. ტფილისში სოლოლაკის ქუჩაზე, ცატუროვის სახლში **№ 10**, ხოლო დანარჩენ ქონებათა გასასყიდად ბანკის სადგომში ქალაქ ქუთაისს რიჟინაშვილის სახლში, სობოროს მოედანზე.

ბანკის მე-**20** §-ის ძალით ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ირიცხება ქონებაზე სხვა და სხვა ხარჯებით, როგორც გაყიდვის გამო, ისე სხვა გაწეულ ხარჯებისა. ე. ი. ქვემოდ აღნიშნულ ძირითად ვალისა და ნედოიმკების და აგრეთვე სახელმწიფო, საერობო (ან საქალაქო) და ყოველნაირი გაწეულ ხარჯების დამატებით. ძირითადი ვალი შეიძლება გადატანილ იქნეს მყიდველზე ან გადახდილი იქნას, ხოლო ყოველნაირი ნედოიმკა შეტანილ უნდა იქნას ნაღდ ფულად.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღების მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს ნაღდ ფულად ბე რომელიც უნდა უდრიდეს ნედოიმკების და სხვა გადასახადების ჯამს, რომელიც ირიცხება ქონებაზე.

ბანკის წესდების მე-**21** §-ის ძალით, ვაჭრობა შესრულებულად ჩაითვლება, თუ მყიდველის მიერ შეძლეული ფასი დაჰფარავს იმავე წესდების მე-**20** §-ში აღნიშნულ ვალს, ნედოიმკებს და ხარჯებს. საჯარო ვაჭრობაზე შეძლეული ჯამი, წარდგენილ ბეს და ძირითად ვალის და აგრეთვე შეძენილ მამულის დამტკიცების ხარჯის გამოკლებით, მყიდველმა უნდა შეიტანოს არა უგვიანეს 14 დღისა საჯარო ვაჭრობიდან. იმ შემთხვაში, თუ მყიდველი თოთხმეტი დღის განმავლობაში არ შეასრულებს ამ პირობას, ის დაჰკარგავს წარდგენილბეს, ხოლო მამული კი ძველი პატრონის სახელზე დარჩება.

როგორც პირველი ისე განმეორებითი ვაჭრობა იქნება მხოლოდ სიტყვიერი, დაბეჭდილ კონვერტებით წარდგენილი ფასები არ მიიღება. არავითარი უპირატესობა საჯარო ვაჭრობაზე არ ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც ბანკის შემდეგ დამატებითი გირავნობა აქვთ ამათ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში სხვებთან თანასწორ პირობებში.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან ბანკის გამგეობაში ინახულოს საქმის წარმოება გასასყიდ მამულისა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) **4** დეკემბრისთვის იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ტფილისსა და ტფილისის გუბენიაშია.

ბ) **8** დეკემბრისთვის იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ქუთაისშია.

გ) **11** დეკემბრისათვის იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქ. ქუთაისის გუბერნიის სხვა ქალაქებსა და დაბებშია.

და დ) **15** დეკემბრისთვის იმ უძრავ ქონებათა, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის სოფლებშია და აგრეთვე იმისა, რომლებზედაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.

განმეორებითი და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) **18** დეკემბერის მამულებისა, რომელიც იმყოფება ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში.

ბ) **22** დეკემბერს ქუთაისში მდებარე მამულებისა.

გ) **28** დეკემბერს სხვა და სხვა ქალაქისა და ქუთაისის დაბაში მდებარე მამულებისა.

და გ) **30** დეკემბერს სოფლის მამულებზე ქუთაისის გუბერნიის და იმ მამულებზე რომელიც მოკლევადიან სესხშია დაგირავებული.